

ელექტრონული სწავლება - თანამედროვე და ეფექტური სწავლების მეთოდი

სალომე ციხისელი

ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის ინგლისური ფილოლოგიის დოქტორანტი, მრავალპროფილიანი საშუალო სკოლის „ქორალი“ ინგლისური ენის პედაგოგი

ანოტაცია:

ანოტაცია ეხება სტატიას თემაზე „ელექტრონული სწავლება-თანამედროვე და ეფექტური სწავლების მეთოდი.“ 21-ე საუკუნეში სწავლების ერთ-ერთ ეფექტურ მეთოდად ელექტრონული სწავლება მოიაზრება. აღნიშნული მეთოდის გამოყენება ძალიან კომფორტული პროცესია. მასში ჩართულია ისეთი სახის ტექნოლოგიური საშუალებები, რომელთა გარეშე თანამედროვე ცხოვრების წესი და სტილი წარმოუდგენელია.

სტატიაში განხილულია ელექტრონული სწავლების როლი და მიზნები, ის გზები, თუ როგორ უნდა უზრუნველყოფთ ეფექტური სწავლება და სწავლების ხარისხის ამაღლება ნებისმიერ საგანმანათლებლო დაწესებულებაში. მოცემულია კვლევა და ჩატარებული კვლევის შედეგები, რომლის საფუძველზეც დავადგინეთ, რომ მოსწავლეებმა უკეთ მოახდინეს ცოდნის ფოკუსირება მოცემულ საკითხზე, გაითვალისწინეს მოცემული დრო და გუნდური მუშაობის შედეგად წარმოადგინეს სათანადოდ შესრულებული ზეპირი და წერიტი პრეზენტაციები.

ჩატარებული კვლევის საფუძველზე, აგრეთვე, წარმოდგენილია ეფექტური სწავლების სქემა ელექტრონული სწავლების მეთოდის გათვალისწინებით.

საკვანძო სიტყვები: ელექტრონული სწავლება, ტრადიციული სწავლება, ეფექტური სწავლების მეთოდი, ეფექტური სწავლების სქემა

ელექტრონული სწავლება - თანამედროვე და ეფექტური სწავლების მეთოდი

ელექტრონული სწავლება წარმოადგენს იმ სასწავლო აქტივობას, რომელიც ხორციელდება ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით. იგი გამოიყენება მხოლოდ ტრადიციული სწავლების პროცესში, რაც მოიცავს მასწავლებლისა და მოსწავლის პირისპირ შეხვედრასა და საკლასო თუ სააუდიტორიო მეცადინეობებს.

აღნიშნული ტექნოლოგიების მოხმარებით ჩვენ უზრუნველყოფთ ეფექტურ სწავლებასა და სწავლების ხარისხის ამაღლებას ნებისმიერ საგანმანათლებლო დაწესებულებაში. ელექტრონული სწავლება ძირითადად ეხება სწავლას და არა ტექნოლოგიას. მისი სტრატეგიული განვითარება ეფუძნება მოსწავლეთა საჭიროებასა და მოთხოვნილებას, მათი საგანმანათლებლო გამოცდილების ხარისხს. [1]

ელექტრონული სწავლების მთავარი მიზანი

ელექტრონული სწავლების მეთოდის მთავარი მიზანია, სწავლის შესაძლებლობების ხელმისაწვდომობით გაზარდოს მოსწავლეთა მოქნილობა, გააუმჯობესოს სწავლის/სწავლების ზოგადი ხარისხი, განუვითაროს მათ ის ცოდნა და უნარი, რომელიც საჭიროა 21-ე საუკუნეში, კერძოდ კი, უზრუნველყოს მათი განსწავლულობის ამაღლება ციფრულ წიგნიერებაში, რომლის ცოდნაც მოეთხოვებათ პროფესიულ თუ კარიერულ დონეზე. ელექტრონული სწავლების გამოყენებით სათანადოდ განისაზღვრება სწავლის/სწავლების მიზნები და სავარაუდო შედეგები.

ზემოთ აღნიშნული მიზნების მისაღწევად აუცილებელია ისეთი ტექნოლოგიების გამოყენება, როგორებიცაა:

- პორტატული კომპიუტერი
- კომპიუტერული პროგრამა
- თეთრი დაფა
- ციფრული კამერა
- მობილური და უკაბელო საშუალებები, როგორიცაა მობილური ტელეფონი
- ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებები, როგორებიცაა ელექტრონული ფოსტა - „e-mail”, სასაუბრო შესაძლებლობები - „chat” და ვიდეო კონფერენციები
- ვირტუალური სასწავლო გარემო [VLEs] ¹
- სასწავლო აქტივობების მართვის სისტემა

ზემოთ მოყვანილი ტექნოლოგიების საშუალებით, ელექტრონული სწავლების მეთოდი უზრუნველყოფს :

- მოსწავლეთა ჩართულობას სწავლის პროცესში
- დამოუკიდებელი სასწავლო უნარ-ჩვევების გამომუშავებას
- მოსწავლეთა ცოდნის განვითარებას
- სწავლის გაგრძელების მოტივაციას

აღნიშნულის ნათელსაყოფად ჩავატარეთ კვლევა, რომელიც მიზნად ისახავდა ელექტრონული სწავლების ერთდღიანი კურსის ჩატარებას და რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ კერძო საშუალო სკოლა „ქორალის” VI, VII, X, XI კლასების მოსწავლეები. კვლევის ჩატარების ადგილს წარმოადგენდა საკლასო ოთახი და ისინი უზრუნველყავით იმ ყველა საჭირო რესურსით, რომელიც გამოიყენება აღნიშნული სწავლების მეთოდში:

- მოსამზადებელი კითხვები და პასუხები
- ციფრული გამოსახულებები
- საპრეზენტაციო ტექსტი ე.წ. ჰენდაუტები

გამოვიყენეთ შემდეგი ტექნიკური შესაძლებლობები: პროექტორი, პორტატული კომპიუტერი და თეთრი დაფა.


¹ VLEs-Virtual Learning Environments

მოსწავლეები დავყავით ოთხკაციან ჯგუფებად, რომლებიც აქტიურად ჩაერთვნენ პროცესში. თეთრი დაფა გამოვიყენეთ იმ რთული საკითხების გამოსაყოფად, რისი გაგებაც ყველაზე მეტად გაუჭირდათ საპრეზენტაციო ტექსტში, მაგრამ ეკრანზე ვიზუალური ჩვენების შემდეგ მათ მოახდინეს ზემოთ ხსენებული საკითხების დიფერენციაცია და მნიშვნელობის გაგება.

კვლევის შედეგი

ჩატარებული კვლევის საფუძველზე დავადგინეთ, რომ მოსწავლეები მეტად მობილიზებული იყვნენ და სრული ყურადღებით განიხილავდნენ მონიტორზე გამოტანილ სასწავლო მასალას, აკონტროლებდნენ სამუშაო დროს, აქტიურად აყალიბებდნენ საკუთარ აზრს. მათ მიეცათ გუნდურად მუშაობის საშუალება და საკითხის კონცეპტუალურად გადაწყვეტის შესაძლებლობა თანაბარ პირობებში. მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდნენ ურთიერთშეთანხმებული, შემაჯამებელი სიტყვის პრეზენტაციის გაკეთებას წერითი თუ ზეპირი ფორმით. რაც მთავარია, მათთვის ეს სამუშაო პროცესი სახალისო აღმოჩნდა.

წარმოგიდგინთ ეფექტური სწავლების სქემას ელექტრონული სწავლების მეთოდთან ინტეგრირებით:



ელექტრონული სწავლების გამოყენება აქტიურად ხდება უმაღლეს სასწავლებლებში. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახემწიფო უნივერსიტეტში ელექტრონული სწავლების კურსი 2009 წლიდან გამოიყენება, რითაც სტუდენტებს ეძლევათ საშუალება თანამედროვე და უფრო მოხერხებული ფორმით მიიღონ განათლება. ჩვენ, საშუალო სკოლის პედაგოგები, ორიენტირებულები ვართ,

მოსწავლეებს შევუქმნათ მყარი ნიადაგი უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის გაგრძელებისა, აქედან გამომდინარე უპრიანი იქნება თუკი ელექტრონული სწავლების მეთოდს აქტიურად გამოვიყენებთ საშუალო სკოლებში, რითაც გავუადვილებთ მათ სწავლის ერთი საფეხურიდან მეორე საფეხურზე გადასვლას.

21-ე საუკუნის მასწავლებელი დღეს დგას გამოწვევის წინაშე, რათა განაახლოს საკუთარი ცოდნა საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით. ამ გამოწვევის მიღებით აისახება მასწავლებლის შეწყობა ახალ სასწავლო ცვლილებებთან. ცხადია, რომ ტექნოლოგიების გამოყენების უპირატესობა პედაგოგიურ საქმიანობაში ხელს შეუწყობს ერთი მხრივ, მასწავლებლის მუდმივ მზადყოფნას სასწავლო პროცესის წარმართვისა და მობილიზაციისათვის, მეორე მხრივ, მოსწავლის შემეცნების დონის ამაღლებასა და მუდმივ ჩართულობას სწავლის პროცესში.[6]

გამოყენებული ლიტერატურა

1. Higher Education Funding Council for England, Effective Practice with e-Learning, 2004
2. David Pundak, Orit Herscovitz, Miri Shacham, Attitudes of face to face and e-Learning instructors toward ‘Active learning’, 2010, pp.78-115
3. Florentino B/ Zquez Entonado, Laura Alonso, A Training Proposal for e-Learning Teachers, 2006, pp.124-148
4. Ulf-Daniel Ehlers, Quality in e-Learning from a Learner’s Perspective, 2004, pp.34-82
5. Elif Toprak, Evrim Genc-Kumtepe, Cross-Cultural Communication and Collaboration: Case of an International e-Learning Project, 2014
6. Maggie Mcpherson, Miguel Baptista Nunes, The Role of Tutors as a Integral part of Online Learning Support, 2004, pp.68-92